*ამიერიდან ჩვენი გაზეთი გამოვა ყოველ ორშაბათს და ეღირება 20 თეთრი*


# ფანტაზია

№8 (79) 1998

6-12 აპრილი 1998 | ი/ს „ფანტაზიის" შემეცნებით-გასართობი გაზეთი | ფასი 20 თეთრი


# Nostalgie ანუ მონატრება



**თარაზულად: 10**. ჩვენი საქალაქო ცხოვრების გადამრჩენი 1991-93 წლებში. **11**. ძველებური საათების აუცილებელი ატრიბუტი. **13**. გარემო, სადაც უძლიერესი იმარხვებს (...ან ამარხვებინებენ!) **14**. ერთ-ერთი (მოდადქცეული) თანამედროვე მისტიური გატაცება (მაპატიეთ და მე ამას „იზმ"-ს ან „ლოგია"-ს ვე ვუწოდებ – ავტ.) **15**. ამერიკელი მოცურავე, ოლიმპიური თამაშების მრავალგზის ჩემპიონი. **16**. ლათ.ამერიკის სახელმწიფოს დედაქალაქი. **17**. აშშ-ს შტატი. **18**. ერთი საბრალო ებრაელი გოგონას მიერ ოცნებებში დანახული მეგობარი. **19**. რუსული პოემა ქართული სინამდვილის შესახებ (...**თან „შპარგალკაც" იხილეთ**). **20**. საგანგებო და სპეციალური საქმიანობისათვის განკუთვნილი დამცავი სამოსი. **23**. ევროპული სახელმწიფოს ფულის ერთეული. **24**. ერთ-ერთი სლავური სახელმწიფოს ყოფილი დედაქალაქი. **25**. ყაზბეგისეული (ცალმხრივმოყვარული) პერსონაჟი. **29**. (ამხედრებული) ადვოკატი კლდიაშვილის შემოქმედებიდან. **31**. რა სახელი დაუკავშირდება წუწუნავას, თუ ქართულ კინოს და თეატრს გავითვალისწინებთ? **33**. ერთი მონღოლური სიტყვა, რომელიც ჩვენი ისტორიიდან ვიცით. **34**. მშვენიერი ქეთი, რომელიც ჩვენი და თქვენი (...და იმათი!) ოჯახების ხშირი სტუმარია. **35**. მარჯანიშვილის თეატრის (ერთობ „ბარიტონოვანი") მსახიობი. **38**. ებრაული წარმოშობის) XX ს. რუსი ფიზიკოსი (**თან „შპარგალკაც" იხილეთ**). **39**. ადგილი, სადაც თამარ მეფის ხილვა შეიძლება. **40**. **იხილეთ „შპარგალკა"** და გაიხსენეთ ამ მუსიე (გუსტავის) ლიტერატურული „ამპლუა". **42**. ქართველი მწერალი, „არაბული წარმოშობის" გვარით. **43**. რა გააჩნია ყოველ მძღოლს, რომელიც საკუთარ მანქანას არ მართვს. **46**. განუსაზღვრელი დროის მანიშნებელი ერთი გაპოეტურებული სიტყვა. **47**. ორგანიზაცია, რომელიც ყველაზე მეტ კრიტიკას იმსახურებს თბილისელთაგან ზამთარში (...და ზაფხულშიც, კაცო?!) **48**. რუსული სინამდვილის ერთი რელიგიური განშტოების წარმომადგენელი.




**შვეულად: 1**. მსახიობის საქმე. **2**. ჩვენთვის კარგად ცნობილი მიულერის სამხედრო წოდება. **3**. მსახიობისათვის ყველაზე საამო მოსასმენი რამ (-ებ-ი). **4**. რა შვა რკინიგზაზე ელექტროფიცირებამ?. **5**. ამა თუ იმ საგნის ან ცნების თანამდევი ინვენტარის ერთობლიობა. **6**. იმედია („შპარგალკის" გარეშეც), გაიხსენებთ პიროვნებას, რომელმაც ევროპაში „ერთგვარი" აჩრდილის თარეში დააფიქსირა (ჩვენ რაღას გვერჩოდა?! – რედ.) **7**. სკულპტურული ქმნილების სახესხვაობა. **8**. პარტიულ-კომკავშირულ (ჯერ ფანატიკოსთა, მერე) მლიქვნელთა ჯგუფი. **9**. წვის პროცესის ხელშეწყობისათვის საგანგებოდ მომზადებული ნაგებობა. **12**. (ვინ არ გაახსენდება კროსვორდისტს?!) სკკპ-ს დაშლის შემდეგ ერთი რუსი კომუნისტურიმოღვაწე (...და ლიდერი!). **21**. ცივილიზაციის ისტორიის ყველაზე ცნობილი და პოპულარული წყალქვეშა ნავი. **22**. ჟურნალისტიკასთან დაკავშირებული სანებართვო ცნება. **26**. რა უნდა ახასიათებდეს ყოველ მამულიშვილს (ხშირად, რა თქმა უნდა, თვალთმაქცურად). **27**. ფიგაროს სამუშაო იარაღი. **28**. ერთგვარი შხამიანი ბუზი. **30**. რუსული ფეხბურთის ლეგენდადქცეული კაცი. **32**. ერთი პონტოელი მეფე, რომელიც ახლოს გაგვაცნო ლიტერატურამ. **36**. რა შეიძლება არ გაიტეხოს (ჩვენებურმა) ოპტიმისტმა? **37**. სასწავლო დაწესებულება მუსლიმანურ სამყაროში. **39**. როგორი მოსწავლე არ იყენებს „შპარგალკას"? **41**. რა ჰქვია მავან მუსიეს, სცენიური „კალიგულას" ავტორს? (**თან „შპარგალკასაც" გთავაზობთ**). **44**. ერთი სლავური სახელმწიფოს ფულის ერთეული. **45**. ემელიანე პუგაჩოვის თანამებრძოლი.

## ვაჯობე-ე-ე-თ! ვაჯობე-ე-ე-თ!

ამქვეყნად ყველაფერი მოდის კაპრიზებზე რომაა დამოკიდებული, ეს ყველასათვის ცხადია და ამიტომაც დიდი ხანია ველოდით იმ ვითარების შექმნას, როცა კროსვორდი თავისი ნაირგვარი "ვორდული" განშტოებებით დროისა და მოდის კაპრიზებისაგან გათავისუფლდებოდა და საკუთარ (გნებავთ – "მარადიულ" და პირვანდელ) იერსახეს დაიბრუნებდა. საბედნიეროდ, ამგვარი ვითარება ჩვენში, როგორც იქნა, შეიქმნა და ჩვენი პრესის მუშაკები არცთუ თვალთმაქცურად სწუხან, რომ "კროსვორდი ისე აღარ გადის".

ამ ოთხიოდე წლის წინ, როცა ჩვენ პირველი ტიპიურად საკროსვორდო გაზეთი ("პილიგრიმი-კროსშოუ", 1994 წ. ივლისი) გამოვეცით, ვერც კი წარმოვიდგენდით იმას, თუ რა ქარიშხალი მოჰყვებოდა ამას; ვერც იმას გავითვალიწინებდით, რომ კროსვორდი ასეთი პათოლოგიური გადახრებით აღიჭურვებოდა ჩვენს პერიოდულ გამოცემებში... ასეა თუ ისე, "გადახრების" პერიოდი დასრულდა და ქართულენოვანი "ჯვარსიტყვა" ადამიანურ სახეს იბრუნებს, რაც ერთობ სასიხარულო მოვლენაა ჩვენთვის.

სხვათა შორის, ჩვენ სპეციალურად დავინტერსდით იმით, თუ რა ვითარებაა ჩვენს სამეზობლო საკროსვორდო სივრცეში და გაირკვა, რომ ეგრეთწოდებული "საკაიფო" ხანა იქ ახლა იდგამს ფეხს (ხომ გაჯობეთ! გა-ჯობე-ე-ე-თ!) ღმერთმა ხელი მოუმართოთ მათ...ეს მოდური გზა ყველამ უნდა გაიაროს.

## საკროსვორდო ჩემპიონატში ლიდერი შეიცვალა

მე-2 გვერდზე
გაეცანით
საკონტროლო წერებზე
მოსწავლეთა
„შემოქმედებითი წვის"
შედეგად შექმნილ
მარგალიტებს, ანუ:

## რით იკვებებიან ქართველი პოეტები?

*გადმობეჭდილია თბილისის გრ. კობახიძის სახ. მე-5 გიმნაზიის ყოველთვიურ გაზეთ „გიმნაზიელიდან"*

*მომენატრება, უსაშველოდ*
*მომენატრება*
*ის ერთადერთი საღამო და*
*ერთი ღიმილი,*
*აურაცხელმა რომ აწეწეს*
*სული აფრებმა*
*და წუთისოფლის*
*განმაშორეს მე სიმძიმილი!*

## ამ გაზაფხულზეც დიდ სიყვარულს გისურვებთ, ბატონებო!

...რაც არ უნდა ამტყუცონ ასტროლოგებმა თუ მეტეოროლოგებმა (და ბევრმა სხვა „ლოგებმა"), რომ გაზაფხული პირველ თუ ოცდაერთ მარტს იწყება, ამ ჩვენს საქართველოში ბუნება, მთელი თავისი ყვავილებითა და სიყვარულებით, მაინც აპრილში იღვიძებს! ასეა ეს და ასევე იქნება სულ!

...სიყვარულებით-მეთქი რომ მოგახსენეთ, ლიზვაც ამ გრძნობას ვგულისხმობდი, რომელიც განგებამ ადამიანში ისე „ჩაამონტაჟა", რომ მაინცადამაინც გაზაფხულზე შეახსენებს ხოლმე თავს სამოთხიდან გამოძევებულ არსებას. აბა, ბიჭო ხარ და ნუ შეახსენებინებ?! არ შეახსენებინებ და... გაუგ[illegible]ნიანდები და... ისეთ უდროო დროს გაგაბრიყვებს, რომ, ქუთათურების თქმისა არ იყოს, „დედაშვილს არ ეიყვანს ხელში".

ასე რომ, გადაივიწყეთ, ბატონებო, ყველა წყენა და წუხილი, ყველა ჭირი და ვარამი, ყველა დარდი და სევდა და... შეიყვარეთ ერთმანეთი, რადგანაც, ერთი სცენიური გმირისა არ იყოს, „შეიყვარებ, ინანებ, არ შეიყვარებ და მაინც ინანებ! მაშ, შეიყვარეთ, რა!"

ჩვენ კი, ჩვენის მხრივ, პირობას გაძლევთ, რომ უფრო ხშირად შევეხმიანებით ამ გრძნობის მოსურნეებსაც და მოშურნეებსაც, ვიდრემდე შემოდგომა და ზამთარი კვლავ მოგვეწყურება და ნაირგვარი [illegible] გაგვინიავებს წუთისოფელს.

„სიყვარული და მონატრება!" - აი, ის ორი გრძნობა, რომელთა გარემოცვაშიც „ფანტაზიის" ეს ნომერი მზადდებოდა, ამიტომაცაა, რომ თავი ვერ მოვაბით სათქმელს ისე, როგორც ჩვენი გაზეთის მკითხველს ეკადრება...

...და ერთხელაც გაგიმეორებთ:



*ძვირფასო ქალებო,*
*შეეცადეთ გაერკვეთ საკუთარ გრძნობებში*

# პარტნიორი, მეგობარი თუ საყვარელი ადამიანი?

**① პაემანზე წასვლისას თქვენ იცვამთ:**
**A.** კაბას, რომელიც თქვენ მოგწონთ (2 ქულა)
**B.** კაბას, რომელიც „მას“ მოწონს (3 ქულა)
**C.** ყველაზე ახალ კაბას თქვენი გარდერობიდან (1 ქულა)

**② თქვენ ზიხართ საღამოს სახლში „მის“ მშობლებთან ერთად და ეს თქვენთვის არის:**
**A.** ტანჯვა და წამებაც კი (2 ქულა)
**B.** საინტერესო და სასიამოვნო (3 ქულა)
**C.** დაკარგული დრო (1 ქულა)

**③ „იგი“ თქვენ წიგნს გჩუქნით, ამ დროს თქვენ:**
**A.** იმაზე ფიქრობთ, რომ ეს საჩუქარი უკეთეს რამეზე გაცვალოთ (2 ქულა).
**B.** ამბობთ, რომ სწორედ ასეთ წიგნზე ოცნებობდით (3 ქულა)
**C.** უცაბედად წამოგცდებათ – „მე კი სხვა რამ მეგონა?!“ (1 ქულა)



**④ პირობა მოგცათ, რომ დაგირეკავდათ, მაგრამ რატომღაც არ რეკავს...**
**A.** თქვენ ჩუმად ტირით (2 ქულა)
**B.**. მთელი დღე ტელეფონთან ზიხართ (3 ქულა)
**C.** დაქალთან ერთად სასეირნოდ მიდიხართ... (1 ქულა)

**⑤ თუ თქვენ არ მოსწონხართ დედამისს...**
**A.** ცდილობთ, „მისი“ რჩევები გაითვალისწინოთ ამასთან დაკავშირებით (2 ქულა)
**B.** დედამისს რაიმე სასიამოვნო საჩუქარს უმზადებთ... (3 ქულა)
**C.** პირდაპირ ეკითხებით იმ სადედამთილოს – „რატომ არ მოგწონვარ“ (ქალო, ჰა!) (1 ქულა)

**⑥ „იგი“ სადმე გიწვევთ და თქვენ იცით, რომ ფინანსურად არცთუ დიდ სილაღეს განცდის...**
**A.** სთავაზობთ, რომ დანახარჯის გადახდისას თქვენს საფულეში არსებული თანხის იმედიც ჰქონდეს (2 ქულა)
**B.** სთავაზობთ, რომ უბრალოდ გაისეირნოთ... (3 ქულა)
**C.** მიწვევაზე თანხმდებით და რაიმე განყენებულ თემაზე იწყებთ საუბარს (1 ქულა)

**⑦ იმ კონფლიქტის შემდეგ, რაშიც უდავოდ თქვენ ხართ დამნაშავე:**
**A.** ელოდებით, რომ პირველად ის გამოგეხმაუროთ (2 ქულა)
**B.** თავად ითხოვთ პატიებას (3 ქულა)
**C.** დაქალებს მოუთხრობთ ამ კონფლიქტის შესახებ, თუმცა საკუთარ დანაშაულს არ ახსენებთ (1 ქულა)

**⑧ თუ „მას“ სიგიჟემდე უყვარს სპორტი:**
**A.** „მასთან“ ერთად დადიხართ სპორტულ სანახაობებზე (2 ქულა)
**B.** სულაც არ გაღიზიანებთ „მისი“ ამგვარი გატაცება (3 ქულა)
**C.** თქვენ სადმე დაქალებთან ატარებთ დროს, სანამ „იგი“ მოიკლავს სპორტულ ჟინს და თან ქილიკობთ მის „სპორტულობაზე“ (1 ქულა)

**⑨ თქვენ შემთხვევით შეხვდით იმ ადამიანს, რომლის მიმართაც ერთდროს დიდი გრძნობები გაგაჩნდათ...**
**A.** იმ ადამიანს შეხვედრაზე არ სთანხმდებით (2 ქულა)
**B.** ეუბნებით იმ ადამიანს, რომ ახლა სხვა გიყვართ (3 ქულა)
**C.** იმ ადამიანთან კვლავ გსურთ შეხვედრა და „მასაც“ აგებინებთ ამ სურვილს (1 ქულა)

**①⓪ ხანგრძლივი განშორებისას რასა იქმთ?**
**A.** დაქალებთან ატარებთ დროს, რათა მარტოობისაგან არ იტანჯოთ (2 ქულა)
**B.** მარტოობა გირჩევნიათ და გამუდმებით ცდილობთ, რომ მასთან სატელეფონო ან წერილობითი კონტაქტი დაამყაროთ (3 ქულა)
**C.** ძველ „მეგობრებს“ იხსენებთ და ცდილობთ დრო „უქმად“ არ დაკარგოთ (1 ქულა)

*ახლა შეკრიბეთ თქვენს მიერ შერჩეული ქულები და... ვნახოთ, რა გამოგივათ!*

**①⑤ ქულაზე ნაკლები:**

თქვენ „იგი“ არ გიყვართ და, ალბათ, არ არის საჭირო იტყუებდეთ საკუთარ თავს და ატყუებდეთ მასაც. თუმცა ნება თქვენია... ეს ცხოვრება ხომ სავსეა უეცარი და მოულოდნელი „მოსახვევებით“!

**①⑤–②⑧ ქულა:**

თქვენ მხოლოდ გგონიათ, რომ შეყვარებული ხართ და საკუთარ თავთან მარტო ყოფნისასაც კი ცდილობთ თავი აარიდოთ შეკითხვას – „მართლა მიყვარს თუ არა?!“ ჩვენი რჩევა – შეეცადეთ უფრო მეტი ღირსებები აღმოაჩინოთ „მასში“ და ნაკლებად მიაქციოთ ყურადღება მის ნაკლოვანებებს.

**②⑧ ქულაზე მეტი:**

მგონი, მოსალოცად გაქვთ საქმე, რადგან ამ გაზაფხულზე (...და სხვა დროსაც!) თქვენში ისეთი მშვენიერი გრძნობა ბუდობს, რასაც სიყვარული ჰქვია.

**გაუფრთხილდით მას!**

# ისტორიის შავ-თეთრი უჯრები

## *მესამე ნაწილი – აღორძინების და აღმოჩენების ეპოქა*

3

18

26




4

6

23


**თარაზულად: 10**. ქალი, რომელსაც მთელი საფრანგეთი ეტრფოდა შუა სს.-ში... ანი და სერჟ გოლონების მტკიცებით. **11**. XVIII-XIX სს. ცნობილი ფრანგი დიპლომატი. **12**. ჩასვით გამოტოვებული სიტყვა – „ლე ..... მორტ, ვივატ ლე ....“ („მეფე მკვდარია, გაუმარჯოს მეფეს“!) **13**. თეთრთმიანი, მაგრამ არაჭაღარა. **14**. სუბიექტი, რომელსაც ჟურნალისტი „დაკითხვას“ უწყობს. **15**. გრაფიკული ნიშანი. **16**. შუა სს. სკანდინავიელი მოხეტიალე მომღერალი-პოეტი. **17**. ცნობილი ინგლისურენოვანი ენციკლოპედიის შემქმნელი. **20**. (მუსიე) მორუა, ფრანგი მწერალი. **21**. ერთი პლანეტის ძველქართული სახელი. **22**. Elaeagnus – ანუ ხე, რომელიც ახალი ქვეყნებიდან შე(მო)იტანეს ევროპაში. **25**. რა მოიტოვეს უკან გენიოსებმა? **26**: **იხილეთ ილუსტრაცია და**... იცანით! **27**. ადგილი, სადაც ერთი მსოფლიო რელიგიის შემქმნელი იშვა. **30**. რა ამაღლდა რენესანსის ეპოქის ევროპაში? **31**. ვერდის ოპერა შუა სს. დიდგვაროვანთა შესახებ. **34**. ევროპელ დამპყრობთა წინააღმდეგ მებრძოლი მექსიკის სახალხო გმირი. **35**. რა იყო კაცობრიობისათვის „ახალი სამყაროს“ აღმოჩენა... წახალისების თვალსაზრისით? **36**. გაქართველებული ევროპელი ზღაპრული გოგონა. **38**. პოლონელ და ლიტველ მეფეთა სახელი. **40**. ჰამლეტის მშობლიური კოშკი. **42**. სასულე ინსტრუმენტი. **44**. რა უნდა გააჩნდეს ნამდვილ სახელმწიფოს? **45**. ფრანგ მეფეთა დინასტია. **50**. უფროსი „სუბიექტი“ შუა სს. ევროპული ფოლკლორიდან. **51**. გაიხსენეთ ქართული გვარი, რომელსაც შუა საუკუნეების საფრნგეთში კარგად გაეცნენ. **53**. Fraxinus – საშუალო სიმაღლის ან მაღალი ხე. **57**. ესპანეთის ისტორიული ოლქი. **58**. განუწყვეტელი ანუ როგორი?

28


**შვეულად: 1**. როგორი ეკლესია გაბატონდა ინგლისში შუა სს.-ში? **2**. **იხილეთ ილუსტრაცია და**... გაიხსენეთ ის ერთადერთი ეპითეტი, რომელიც შეიძლება მოებნოს ამ კაცს. **3**. ქალაქი კუნძულ კვიპროსზე. **4**. **იხილეთ ილუსტრაცია და**... ამოიცანით ვინაობა (სახელი და გვარი) **5**. ერთ-ერთი რელიგიური სექტის მიმდევრები რუსეთში. **6**. **იხილეთ ილუსტრაცია და**... და გაიხსენეთ ამ დედოფლის (გაქართულებული) სახელი. **7**. ევროპელ დიდგვაროვანთა ტიტული. **8**. დღის რა მონაკვეთია დაკავშირებული 1572 წელს მომხდარ ხოცვა-ჟლეტასთან? **9**. ერთგვარი ცივი იარაღი. **18**. **იხილეთ ილუსტრაცია და**... გაიხსენეთ ამ პიროვნების ვინაობა. **19**. ქალაქი, სადაც აღმოსავლელებმა ღასავლური კულტურა (თითქმის) აღგავეს პირისაგან მიწისა. **23**. **იხილეთ ილუსტრაცია და**... გაიხსენეთ აცტეკების ამ ბელადის ვინაობა. **24**. ესპანელთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა VIII-XV სს. **28**. **იხილეთ ილუსტრაცია და**... გაიხსენეთ ვინაობა. **29**. ამაო შრომის სიმბოლო ბერძნული მითოლოგიიდან. **32**. სასაპალნე ცხოველი. **33**. ქალაქი იტალიაში. **37**. სირაქლემა, რომელიც ევროპელებმა ამერიკაში აღმოაჩინეს. **39**. ვიკინგების სამშობლო. **41**. ტივი, რომლითაც ტურ ჰეიერდალი წინაპართა აღმოჩენებს ამოწმებდა. **43**. რა ჩამოაყალიბეს ლიტველ-პოლონელმა რაინდებმა შუა სს. ევროპაში? **46**. ფრანგ მეფეთა სახელი. **47**. შუა სს. ევროპაში „მრგვალი მაგიდის“ უმთავრესი რაინდი (წოდ.ბრ.). **48**. მამაკაცის ფრანგული სახელი. **49**. როგორი აღმოჩნდა ინდოეთისაკენ გზების ძიება? **52**. (ადგილი შევავსოთ) ყვავილი. **54**. VII ს. ბიზანტიის იმპერატორი. **55.** როგორ დაემშვიდობა კოლუმბი თანამემამულეებს? **56**. (მადამ) ავსტრიელი, ცოლი ლუდოვიკო XIII-ისა.

# გიმნაზიელი

ტარიელმა და ავთანდილმა ინდოელი და არაბი ხალხების დამეგობრებით მთელი მსოფლიოს ინტერნაციონალური ძმადნაფიცობის სათავე შექმნეს!

☺ ☺ ☺

„მე და ღამე“ ხორციელი გამომხატველია იმისა, თუ როგორ ცდილობდა პოეტი თავის მარტოობით დამტკბარიყო.

☺ ☺ ☺

გალაკტიონმა ლექსი მიუძღვნა ქალს, რომელმაც პერანგი შეუბნია ქინძის თავით..

☺ ☺ ☺

მაიამ დაფინოს სთხოვა, ზღვაში შეჰყოლოდა და დაბანვაში მოხმარებოდა.

☺ ☺ ☺

თალაგვა კოლონკელიძემ ააჯანყა ცხოველები სამეფოსა და ეკლესიის წინააღმდეგ.

☺ ☺ ☺

იყო ერთი ხელმწიფე, ჰყავდა გასათხოვარი ვაჟი. გაათხოვა კიდეც.

☺ ☺ ☺

ტარიელი შევიდა ასმათთან ძმურ კავშირში.

**საკონტროლო წერა და ფანტაზია**

ძიძაობა ძველ საქართველოში გავრცელებული ტრადიცია იყო, მეფეები თავადებს აძლევდნენ, თავადები - აზნაურებს და აზნაურები - გლეხებს.

☺ ☺ ☺

აკაკი წერეთელი დიდი ერევნელი პოეტი იყო.

☺ ☺ ☺

გიორგი ლეონიძე დიდი პოეტია... იგი ვაჟათი იკვებება (?!)

☺ ☺ ☺

დედაკაცმა ავლა-დიდება ერთ ფუთაში გადაკრა, შვილებს დაუტოვა და უხმო მიქელ-გაბრიელს.

☺ ☺ ☺

აზნაურები თავიანთი ბედით თუ უბედობით გვანან შემოდგომის ნაშუადღევს ანაზდეულად მოვარდნილი ქარის მიერ ველიდან მაღლა ატაცებულ ფოთლების ორომტრიალს და მათ უხმაურო ცვენას მიწაზე.

☺ ☺ ☺

გიორგი ლეონიძემ ლექსში გაამეტყველა გადამთიელი, რომელსაც სამარის ნესტიანი დიდებაც კი ვერ აკავებს.



**ჩვენი განცხადება**

**გაზეთ „ფანტაზიაში“ კროსვორდის გამოქვეყნების მსურველებმა მოგვმართონ *მხოლოდ* წერილობით, მისამართზე 380003, ალ. ელერდაშვილს, მოკითხვამდე. ჩვენ გვაინტერესებს *მხოლოდ* „სერიოზული“ კროსვორდები (ანუ ის, რაც დაკავშირებულია ინტელექტთან და არა „ვორდის“ წინ მდგარ ნაირგვარ ვარიანტებთან; ანაზღაურება – სიტყვათა რაოდენობის მიხედვით (ერთი სიტყვის ღირებულება – 5-7 თეთრი, კროსვორდის სირთულის გათვალისწინებით). ერთის პირობით – რედაქცია შესწორება-კორექტირების უფლებას იტოვებს.**

## გასული ნომრის პასუხები

**პირველი გვერდი:** *თარაზულად* 2. სესია. 6. კუბა. 7. რელე. 8. მორატორიუმი. 10. კანოე. 11. განდი. 13. ობლიგაციები. 16. გრემ. 17. საკო. 18. იმედი. *შვეულად:* 1. სუმო. 2. სანატორიუმი. 3. სამოა. 4. არქივარიუსი. 5. კლიმ. 8. მიკრო. 9. ილიჩი. 12. მაცნე. 14. ბორი. 15. ბუკი.

**ისტორიული კროსვორდი**: *თარაზულად:* 10. ინკვიზიცია. 11. ოსმალები. 12. ელეონორა. 13. ლაზისტანი. 14. აგრესორი. 16. სიუზერენი. 17. ჟანა. 18. ქტესიფონი. 20. ანრი. 22. პალინდრომი. 24. ასკალონი. 27. ოტო. 28. მაქსიმილიანე. 30. სუ. 32. აკვედუკი. 34. მიჯნა. 36. გენი. 37. არტური. 38. იმამატი. 40. ილია. 41. სალაპარაკო. 43. ლოილა. 46. პარიზი. 47. ლიე. 48. ნემესიდა. 50. ნაციზმი. 51. აბელი. 52. მხარი. *შვეულად* 1. ანალოგია. 2. ავტოკეფალია. 3. იზეო. 4. მცდარი. 5. კარლოს დიდი. 6. მოგზაურობა. 7. ემისრები. 8. ელვარება. 9. იბლისი. 15. ორქიდეა. 19. ექო. 21. რენესანსი. 23. ანტიკური. 25. კლარა. 26. ლოენგრინი. 29. მომთაბარეები. 31. იერუსალიმი. 33. უნიტარიზმი. 35. ჯვაროსნული. 39. ისლამი. 42. ავლა. 44. ლიდერი. 45. კაკაო. 49. სახე.

**ყვავილების ქვეყანა**: *თარაზულად:* 8. ბურატინო. 9. რილკე. 10. ნორვეგია. 11. მშვენიერო. 12. ასა. 13. შნო. 14. ნიკოლსონი. 16. სერჟანტი. 19. საბაგირო. 22. ამირეჯიბი. 25. დიონისე. 26. კალორია. 28. დალი. 29. იუნგა. 30. ებანი. 31. ადრე. 32. აშლა. 34. გიული. 35. ვნება. 37. ბუში. 39. ინდაური. 40. ჰენდელი. 41. მაკედონია. 43. აფრიკატი. 45. ბრაზიანი. 49. აპარატურა. 50. ასო. 51. ვიე. 52. გაზაფხული. 55. მტარვალი. 56. ნოდარ. 57. ვერაგობა. *შვეულად:* 1. წუთისოფელი. 2. ნორმანდია. 3. არევიკა. 4. ალენ. 5. შეკეროს. 6. ანტონიუსი. 7. ბიორნ ბორგი. 15. ლიდერი. 17. ჟანრი. 18. ნისლი. 20. ბზარი. 21. გლოვა. 23. მარგალიტა. 24. ბურბონები. 25. დალიანი. 27. აწეწილი. 33. ამაყი. 34. გორდა. 36. ამება. 37. ბადრი. 38. მალონა. 41. მიწა. 42. აბგა. 44. ფორსაიტი. 46. ნაპირები. 47. სანზონა. 48. კულუარი. 52. გაია. 53. ფიდო. 54. იხვი.

მეთორმეტე გვერდი: *თარაზულად:* 7. სავანელი. 8. არბალეტი. 10. ლანდშაფტი. 11. გრემი. 12. აბედი. 13. იფარი. 14. სტატია. 17. გიდელი. 19. კურანტი. 20. მახე. 21. რური. 23. ლასკალა. 26. ბარაბა. 28. ორიონი. 30. კუპრი. 32. ლასტი. 33. ლიბია. 34. კამერტონი. 35. არმატურა. 36. ალაუტერი. *შვეულად*: 1. გასტრიტი. 2. ანალიზი. 3. ფლანგი. 4. კრაფტი. 5. მანიანი. 6. სტენდალი. 9. აშკარა. 15. ტრასა. 16. აკულა. 17. გირაო. 18. დერბი. 22. ტალავერი. 24. კუპერი. 25. ინქიზერი. 27. ბოიკოტი. 29. რელიეფი. 30. კამარა. 31. იზოლდა.



**მზე შინა და მზე გარეთა**



*მოგეწონათ თუ არა ეს სუპერ-სკანდინავიური კროსვორდი?!*

*ეგებ როგორმე გაგვაგებინოთ თქვენი აზრი!*

# ნუმერვორდი





A. მოცემულ ე.წ. „ნუმერვორდში" გამოყენებულია 33-ივე ასო.
B. 4, 12, 17, 21 და 33 ხმოვნებია.
C. სადღაც ჰორიზონტალებზე წერია „ამერიკა" და „არბიტრი".
D. სადღაც ვერტიკალებზე — „კრიტიკა" და „იაპონია".
E. გთხოვთ, იფიქროთ!

# კროსვორდისტის მემუარები

ერთხელ ჩვენმა ერთმა მკითხველმა დაგვირეკა და გვითხრა - ზოგჯერ მეტად ირონიული ბრძანდებით „თანამოკროსვორდეების" მიმართ-ო.

მოდი და ირონიული ნუ იქნები, როცა ასეთი რამეებია შემორჩენილი ხსოვნაში, ანუ: იმ ერთ დროს, როცა პრესის ჟარგონზე რომ ვთქვათ „კროსვორდი კარგად გადიოდა", ერთმა და-PRESS-ილმა პიროვნებამაც გამოუშვა საკროსვორდო გაზეთი. მაშინ ჯერ არ ვიცოდი, რომ შესაძლებელი იყო კაცს თავად კი არ შეედგინა კროსვორდი თავისი გამოცემისათვის, არამედ სხვებისაგან შეეძინა (კროსვორდები) და ავტორსა და მკითხველს შორის „სპეკულირება" დაეწყო; ამიტომაც გაოცებული ვუსმენდი მას, როცა მან ერთ თავისნაირთან ნაძლევი დადო — კროსვორდის ცარიელ ჩარჩოს ვერ დანომრავო. ...თურმე ამ საქმის გაკეთება მათთვის ჩინურად წერის ტოლფასი იყო! ამიტომაც ხანდახან ჩემთვის, ჩუმად, გულში მგონია ხოლმე, რომ (ღმერთმანი!) ბანანით მოვაჭრეებს უფრო მეტი წარმოდგენა აქვთ ბანანის მწარმოებელი აფრიკული ტომის (მბიდა-მბოკონეს!) ეთნოგენეზზე, ვიდრე მათ (კროს-სპეკულიანტებს) კროსვორდის აგებულებაზე (შინაარსზე რომ არაფერი ვთქვათ!).

ჰოდა, მოდი და ირონიული ნუ იქნები!

# ფანტაზიის სტუმარი



კროსვორდი შეადგინა მიხეილ კვეზერელმა

**თარაზულად**: 1. შენობა-ნაგებობებთან დაკავშირებული ხელოვნება. 7.ქაშაყისებრთა ოჯახის თევზი. 8.კამერულ-საკრავიერი მუსიკის ერთ-ერთი ჟანრი. 10. ნახევარკუნძული აშშ-ს ჩრდ.-დასავლეთ ნაწილში. 12. სპილენძისაგან ჩამოსხმული რომაული მონეტა. 13. აზარტული თამაშების დაწესებულება. 15. ტროპიკულ სარტყელში გავრცელებული ქვეწარმავალი. 16. აშშ-ს შტატი. 18. ევროპული სახელმწიფოს დედაქალაქი. 20. სამწყობრო დანიშნულების მუსიკა. 22. ატმოსფერული მოვლენა. 23. ფრანგი კინომსახიობი მამაკაცი. 24. ინგლისური ენის პოპულარული სახელმძღვანელოს ავტორი. 26. ნიდერლანდური ფერწერის კლასიკოსი. 29. ჰოლანდიის საფეხბურთო კლუბი. 31. აზერბაიჯანის სასაზღვრო ქალაქი. 33. თეატრალური დანიშნულების ლიტ.ქმნილება. 34. ქალაქი ესპანეთში. 36. აფრიკის სახელმწიფო. 37. ამბიციურობა ანუ რა? 38. განცალკევებული ანუ როგორი?

**შვეულად**: 1. სივრცე, სადაც ფლორისა თუ ფაუნის ესა თუ ის სახეობაა გავრცელებული. 2. კაცი, რომელიც პარისის „სიამოვნებას" მოკლებულია. 3. ქალაქი კანადაში. 4. სოფელი ქუთაისის სიახლოვეს. 5. ებრაელის არცთუ ეთიკური მოსახსენიებელი სიტყვა. 6. სოფელი გურიაში. 9. დედაქალაქი ამერიკის კონტინენტზე განლაგებული სახელმწიფოსი. 11. აშშ-სა და ევროპაში გავრცელებული თამაში. 14. მეთაურის სტატუსის მქონე საიჩელრო პირი. 15. აფრიკის სახელმწიფო. 17. ავსტრიული ლიტერატურის დიდებული წარმომადგენელი. 19. დროის გეოლოგიური მონაკვეთი. 21. „პირველი" საკვები პროდუქტი. 23. პროვინციის გამგებელი მუსლიმანურ სახელმწიფოში. 25. სიგრძის საზომი არატრადიციული ერთეული. 27. ტბა ციმბირში. 28. ერთგვარი ყავა. 30. აზიის სახელმწიფოს დედაქალაქი. 32. ნახევარკუნძული კრასნოდარის მხარეში. 35. ევროპის სახელმწიფოს დედაქალაქი. 36. ძროხისებრი კეზიანი ცხოველი.

1. საპრემიო კროსვორდი ეს არის შანსი ლიდერთა დაწევისა.
2. საპრემიო კროსვორდში ოთხი კითხვაა და ყოველი სწორი პასუხისათვის ერთი ქულა დაემატება თქვენს ქულათა საერთო მარაგს.
3. საპრემიო კროსვორდი დროულად წარმოადგინეთ ძირითად კროსვორდთან ერთად.




1. ქართველი მხატვარი-კარიკატურისტი.
2. ავტორი მოთხრობებისა „თითრი ხომალდი" და „ძრელი ძაღლი, ზღვის პირს ადევნებული"...
3. კაცი, რომლის სახელთანაცაა დაკავშირებული 80-იანი წწ. დასაწყისის საქართველოს ყველაზე დიდი სიხარული და ტკივილი.
4. საბჭოური სინამდვილიდან ჩვენთვის კარგად ცნობილი ერთ-ერთი ნიკიტა.
















## მეშვიდე ტური - 6-19.04. 100 სიტყვა პრიზი — 100 ლარი



სახელი, გვარი ——————————

პასუხები მოგვაწოდეთ 19 აპრილამდე

**თარაზულად**: 12. (ქართველი) კაცი, რომლის გვარი ისტორიას სახალხო გმირის მოკლით შემორჩა. 13. (გადმოქართულებული) იგავური არსება, მსხვერპლი თავხედური აგრესიისა. 14. შუა სს. სპარსელი პოეტი, ავტორი (ქართულად თარგმნილი) დიდებული რობაიებისა (ორი სიტყვა). 16. ნაწილი რუსთველური აფორიზმისა, რომელიც ყველას ესმენია (რამოდენიმე სიტყვა). 17. შემწვარი კარტოფილის სახესხვაობა. 19. ახლო წარსულის ქართველი თეატრალური მოღვაწე. 20. ერთი გურული მწერლისათვის ერთობ „ახლობელი" ევროპელი ფილოსოფოს-განმანათლებელი. 21. მსოფლიოს გასამმაგებული ეპითეტი ერთ პოპულარულ ჰოლივუდურ კინოკომედიაში. 22 იტალიელი ტიფოზების კუმირი ოცდაათიოდე წლის წინ. 23. როგორია ის ადამიანი, რომლის ორგანიზმი გამომწვევად რეაგირებს გარემოს ცვლაზე? 25. რა სჭირდება ცურვას ბოლოკას აზრით? 27. ქალაქურ „გაგებას" მოკლებული ადამიანი. 29. როგორი შეიძლება აღმოჩნდეს ცალმხრივი ტრფობის ობიექტი? 30. რა შეიძლება „გასძვრეს" კაცს? 31. სრულყოფილებისაგან შორს მდგომი სუბიექტი. 32. პროფილაქტიკური საშუალება. 35. კაცი, რომლის ნააზრევმა თითქმის ასწლოვანი „ორომტრიალი" გამოიწვია (...და იწვევს). 36. **იხილეთ ფოტო**. 38. ალკოჰოლური სასმელი. 41. „პრივილეგირებული" ქართული გვარი. 43. ეგებ გაგახსენდეთ ერთი ინდური ფილმი?! 44. სულების ერთ-ერთი მსაჯული მიწისქვეშეთში (*ბერძ.მით.*) 45. „ბერძენი" ურჩხული, რომლის სახელი იტალიელთა კუნძულს ეწოდა. 49. სიბინძურის „რეზერვუარი". 51. ერთი დიდი ქართველი მწერლის ფამილარულ-კნინობითი სახელი. 52. გრანდიოზული მტვრის სვეტის შემქმნელი ქარიშხალი. 53. „ლოცვანთა" წიგნის დასადები მაგიდა მართლმადიდებელთათვის. 56. ნალექი ქანის სახეწხვაობა. 57. ძველებური თოფი. 59. შარვლის ტოტის ჩასატანებელი ტყავის საწვივე. 60. ზღვის წყალმცენარეებისაგან მიღებული რუხი კრისტალური ნივთიერება. 62. თანამედროვე ამერიკელი მომღერალი ქალი. 64. დაბალ სკამად გათლილი მორი. 65. კაცი, რომელიც ფიქრობდა, რომ სამშობლოში სატრფოს „თმები დააბრუნებენ". 68. კულტურული მცენარე, „სპონსორი" ტაშკენტის „ფახთაქორისა". 71. ამერიკელი კინომსახიობი მამაკაცი. 73. **იხილეთ ფოტო**. 74. სამყაროს მოვლენების საერთო თვისებათა და ურთიერთკავშირთა ამსახველი ლოგიკური ცნება. 77. რა გააჩნია აფრიკას „კეთილი იმედისა"? 78. ფიზიკური სიდიდის სივრცეში ზრდის ან კლების საზომი. 79. რა მოეთხოვება კროსვორდის შემვსებს (...და შემვსებსაც!)? 81. ქართული ესტრადის მომღერალი (სახელი და გვარი) 83. ერთგვარი საოჯახო ავეჯი. 85. ქართველი მსახიობი ქალი რუსთავის თეატრიდან. 88. „ტუტსი" გინახავთ? ჰოდა, რა გვარია ის სერიალ-პერსონაჟი, რომელსაც ქალადქცეული დასტინ ჰოფმანი ასახიერებს? 91. წერილობითი მოხსენება. 94. ევროპის ისტორიული რეგიონი. 95. **იხილეთ ფოტო**. 96. იტალიური აღორძინების წარმომადგენელი არქიტექტორი. 97. არგენტინის ლეგენდარული პრეზიდენტი.

**შვეულად**: 1. მეცნიერება, რომელიც, ტუბერკულოზის გარდა, ყველაფერს შეისწავლის ფილტვების შესახებ. 2. ადამიანის (...და ზოგი ცხოველის) სახის მოქმედების სახესხვაობა. 3. აზიის სახელმწიფოს დედაქალაქი. 4. სპეციფიური ფრანგული სახელი მამაკაცისა. 5. თქვენი აზრით, რა უნდა იყოს Fragaria moschata ბოტანიკოსთა ენაზე? 6. გერმანელი ავიაკონსტრუქტორი. 7. რაიმეს დამკარგველის (დია) ყოფა. 8. სიცოცხლით სავსე ადამიანის ტიპი. 9. ერთგვარი კრებითი სიტყვა. 10. ქართული ესტრადის სიამაყე (სახელი და გვარი) 11. ბერძნული მითოლოგიის ერთი სწორუპოვარი რაინდი. 15. ქორწილის მონაწილე პერსონაჟი პატარძლის მხრიდან. 18. ნიკო მარიც, არნოლდ ჩიქობავაც და მრავალი სხვაც. 20. ერთი „შერეკილი" ლიტ. პერსონაჟის ილუზორული სატრფო. 24. შორეული წარსულის გადმონაშთი. 26. თანამედროვე კოლუმბიელი ფეხბურთელი. 28. ემიგრანტი რუსი მწერალი. 33. კაცი, რომლისგანაც წელს საფრანგეთში საოცრებებს ელიან. 34. ქვედა კიდურთან დაკავშირებული ქმედება. 37. კაცი, რომლის სახელობისაცაა მოსკოვის ერთი „უცხოური" უნივერსიტეტი. 39. არასახარბიელო საფეხბურთო პოზიცია. 40. ახლო წარსულის საბჭოეთის ერთ-ერთი კოლორიტული ლიდერი. 42. აბსოლუტური უსინათლობა. 46. მარცვლეულის გასაწმენდი საცრის მსგავსი საშუალება. 47. ქართველი ფოტოჟურნალისტი. 48. ევროპის ისტორიული სახელმწიფო. 50. საერთაშორისო მნიშვნელობის მქონე დოკუმენტი. 54. ერთგვარი საწყალოსნო-სატრანსპორტო საშუალება. 55. ერთ-ერთი ეპარქიული ცენტრი საქართველოში. 58. ოსტაპ ბენდერის საოცნებო ქალაქი. 61. რა „საოცრება" მოიმოქმედა 1973 წელს ერევნის „არარატმა"? 63. ქალაქი, სადაც მსოფლიოს შვიდთაგან ერთი საოცრება მდებარეობდა. 66. დიდი გერმანელი დრამატურგი. 67. **იხილეთ ფოტო**. 69. (ლიტ.) გრაფ დე ლა ფერის ფსევდონიმი. 70. თბილისის უნივერსიტეტის ერთ-ერთი რექტორი. 72. სასოფლო-სამეურნეო იარაღი. 75. **იხილეთ ფოტო**. 76. რომან „ანა კარენინას" ერთ-ერთი პერსონაჟი ქალის სახელი; 78. გერმანელი დრამატურგი, ავტორი პიესისა „მშვენიერი ქართველი ქალი". 80. რა გადმოსცეს „მემკვიდრეობით" ძმებმა ლიუმიერებმა საქართველოს ტელევიზიის პირველ არხს? 82. ერთ-ერთი უძველესი პოემა კაცობრიობის ისტორიაში; 83. ლათინურ ამერიკაში მობინადრე არაწყვილჩლიქოსანი ჰიპოპოტამისებრი ცხოველი; 84. კაცი, რომელსაც მიშელ მერსიეს ცნობილი პერსონაჟი დაეძებს. 86. რაიმე ქმედების ჩატარების ნებართვა; 87. ავტორი „ევროპელი ნაცარქექიას" შესახებ შექმნილი ნოველებისა; 89. ხმა, რომელსაც გამოსცემს საგანი თანაბარაჩქარებული მოძრაობის დასრულებისას; 90. წაჭრილი ტოტის ძირი; 92. გამოიცანით თარ.№ 20 და გაგახსენდებათ მისი ნაწარმოების მთ. პერსონაჟი. 93. აზიის სახელმწიფოს ფული.

| № | ხუთი ტურის შედეგ | 2 | 3 | 4 | 5 | ძ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ხაჩირაშვილი მარინე | - | 99 | 100 | 100 | 99,75 |
| 2 | კუსრაძე ლიანა | 98 | 100 | 100 | 100 | 99,6 |
| 3 | გაბრიელიძე იური | - | 100 | 100 | 98 | 99,5 |
| 4 | საზანდრიშვილი ნათია | - | 98 | 100 | 99 | 99 |
| 5 | სეციტაშვილი ზურა | 98 | 100 | 100 | 97 | 98,75 |
| 6 | გეგია მაია | 98 | 98 | 100 | 98 | 98,6 |
| 7 | ჩაჩანიძე ქეთევან | 98 | 98 | 100 | 99 | 98,6 |
| 8 | კვირიკაშვილი მერაბი | 97 | - | 100 | 95 | 97,3 |
| 9 | ბუძღულაშვილი მანანა | 98 | 97 | - | - | 96,6 |
| 10 | მაისურაძე მანანა | 93 | 98 | 98 | - | 96,5 |
| 11 | ჯახველაძე ლია | 94 | 97 | 98 | - | 96 |
| 12 | ჯლამაძე ნუნუკა | - | 96 | 97 | 93 | 95,33 |
| 13 | დანელია ლევან | - | 96 | 97 | 93 | 95,33 |
| 14 | გურგენიძე ვიტალი | 94 | 96 | 95 | - | 95 |
| 15 | კვირიკაშვილი დათო | 94 | 94 | - | - | 94,6 |
| 16 | ძაძამია ივანე | 94 | 91 | 94 | - | 93 |
| 17 | ცომაია გოგი | 94 | 88 | 90 | 90 | 90,5 |

### მეექვსე ტურის პასუხები

1. კოლეგიალობა. 2. ჩაქაფული. 3. ესქილე. 4. ფოლორცი. 5. ადმირალი. 6. სკანდინავია. 7. დრანდულეტი. 8. პორტრეტისტი. 9. კონტეინერი. 10. მაკრამე. 11. რომანსი. 12. ბოუდიკა. 13. ორჭოფობა. 14. გარანტია. 15. დილერი. 16. მექანიკა. 17. ორიენტი. 18. ნატუტარი. 19. ფილუმენა. 20. ცვარი. 21. ეკუმენიზმი. 22. ფლეიტისტი. 23. იოლანტა. 24. სიღარიბე. 25. იზეო. 26. ამბრა. 27. შთამომავლობა. 28. აბაკელია. 29. კვაზიმოდო. 30. მაქსიმუმი. 31. ქვეხა. 32. ულენშპიგელი. 33. ტვირთი. 34. შახნაზაროვი. 35. ზარდახშა. 36. ბერწი. 37. აქ დაშვებულ იქნა სამწუხარო შეცდომა — კითხვა იქნა არასწორად დასმული, ამიტომ ეს კითხვაც და მისი გადამკვეთი სამივე სიტყვაც (ავტომატურად ეთვლება ყველას). 38. ცხუმი. 39. ხოჯენდი. 40. რიტორიკა. 41. ბაბაჭუა. 42. ძირკოკი. 43. ხიმიკაური. 44. თაყაიშვილი. 45. ჯამი. 46. ნივოზი. 47. კოფო. 48. აგასი — აბუჯა. 49. გრაფი — გრაფიკოსი. 50. არკანოვი. 51. სიკოკე. 52. შრომა. 53. უწერა. 54. ასტრა. 55. კრივოი. 56. ბარკლაი. 57. კადრი. 58. პიპინ. 59. ფიმტო. 60. მარად. 61. ასთმა. 62. ლიბო. 63. ფლინტი. 64. მიქელანჯელო. 65. ლონდრე. 66. ოზალი. 67. ერდო. 68. იალნო. 69. ლუიჯი. 70. ლავრა. 71. ვაიო. 72. იშთარი. 73. რაიტი. 74. პალინდრომი. 75. იუნგი. 76. სტეფანია - ხტოქტონი. 77. ლიზლი. 78. ღიღინი. 79. მეხი. 80. ელარჯი. 81. კლიო — კრუპიე. 82. გოჩა ლორია. 83. ოსკარი. 84. ანტონ 85. შირმა. 86. მარლანია. 87. აურა. 88. კაუჩუკი — კვრა. 89. უხმო. 90. ტაჯიკეთი. 91. იოკი. 92. ფრანკო. 93. ჯარჯი. 94. მამან. 95. ლირიკა.

# კროსვორდი — სატანის სამსახურში



**სხვათა შორის, ახლა ჩვენს ქალაქში საანეკდოტო (იუმორისტული?!) გაზეთების ბუმია... ასე რომ, როგორც ნათქვამია — ჩათრევას ჩაყოლა სჯობს!**

მეზღვაური ბამბას ასველებს სპირტში და ხელსაწყოებს წმენდს. შემოდის ბოცმანი.
- რას შვები, შე უტვინო?!
- როგორც მიბრძანეთ, კომპასს ვწმენდ.
- მერე ვინ წმენდს ასე კომპასს?!

ბოცმანი იღებს სპირტიან ბოთლს, ნელნელა წრუპავს, მერე კომპასს აორთქლებს...
- აი, ახლა გაწმინდე!

❋ ❋ ❋

აოფლიანებული ფოსტალიონი ძლივსა ამოძრავებს ნიჩბებს და ისე აღწევს ღვაში, შორს განლაგებულ შუქურამდე. ადმოდის იქიდან და გაბრაზებული ულრენს შუქურის ზედამხედველს:
აჰა, აიღე წერილი!
- შემდეგაც თუ ასეთი ტონით დამელაპარაკები, იცოდე, გაზეთს გამოვიწერ.

- რატომ არის, რომ ზოგი კაცი გამხდარია, ზოგი კი მსუქანი, თუმცა ერთსა და იმავე მაკარონს ჭამენ?
- ეს იმიტომ ხდება, რომ მაკარონს ზოგი სიგრძეზე ჭამს და ზოგი სიგანეზე.

❋ ❋ ❋

- დასაშვებია თუ არა ე.წ. „პაჩებნიკების“ გადაყლაპვა?
- დასაშვებია, მაგრამ გირჩევთ, ასეთი ექსპერიმენტი არ ჩაატაროთ, რადგან არსებობს უნიტაზის დამსხვრევის საშიშროება.

❋ ❋ ❋

ეზოში სამი მოხუცებული ქალი ზის და საუბრობს:
- აი, მე - ამბობს ერთი - უკვე 80 წლის ვარ და ჯერაც უსათვალოდ ვუყრი ძაფს ნემსში... თფუი ეშმაკს, თვალი არ ეცეს!
- მე კი - აგრძელებს მეორე - 85 წლის ვარ და არცერთი კბილი არ მაკლია... თფუი ეშმაკს, თვალი არ ეცეს!
- მერე რა?! - მესამე აგრძელებს საუბარს - მე 90 წლის ვარ და ჯერაც ქალიშვილი ვარ! თფუი ეშმაკს, თვალი არ ეცეს!

❋ ❋ ❋

ერთხელ ერთი მთიელი თბილისში ჩამოვიდა და მას „მარშრუტკის“ შოფერმა გამოცანა უთხრა:
- აბა, მითხარი, ჯოტო – დედაჩემის შვილია და ჩემი ძმა არ არის... ვინ არის?
- არ ვიცი.
- მე თვითონ ვარ, ბიჭო, მე! - უთხრა შოფერმა.

ჯოტო მთას დაუბრუნდა და თავის სოფლელებს ეუბნება:
- აბა, გამოიცანით - დედაჩემის შვილია და ჩემი ძმა არ არის... ვინ არის?
- არ ვიცით... შენ გვითხარი!
- „მარშრუტკის“ შოფერი.

❋ ❋ ❋

ერთმა მთიელმა „ზაპოროჟეცი“ იყიდა და სოფელში აათრია.

გამოეფინა ხალხი და ათვალიერებენ „ათრეულს“:
- ეს რამხელა თვალები ჰქონია?! - თქვა ერთმა.

მეორემ სახურავზე გადაუსვა ხელი:
- ეს რა სქელი ტყავი ჰქონია?!

მესამემ უკანიდან მოუარა და „გლუშიტელი“ დაინახა:
- მამალი ყოფილა, ვეჟო!

❋ ❋ ❋

ფეხმძიმე ქალი ეუბნება ქმარს:
- გაზეთში წავიკითხე, რომ ახლა ისეთი რადიაციაა, შეიძლება ბავშვი შავი და ორთავიანი დაიბადოს.

ქალმა იმშობიარა; ქმარი აღელვებული მიიჭრა სამშობიაროში:
- ჰა, რა მოხდა?
- შავია!
- თავი რამდენი აქვს?
- ერთი!
- ვაჰ, მადლობა ღმერთს!

❋ ❋ ❋

ერთი ძველთბილისელი კაცი კვდებოდა და მისმა ოჯახმა გადაწყვიტა, რომ ამერიკაში სამუშაოდ წასული ნათესავისათვის დეპეშა გაეგზავნათ.

იფიქრეს, იფიქრეს, თუ ყველზე მოკლე ტექსტი როგორ დაეწერათ და ბოლოს დაწერეს – „სერგო ფაფუ!“

...მალე ამერიკიდან პასუხი მოვიდა:
– „ვაჰ!“

*ანეკდოტები შეაგროვა ნატალია ზურაბიშვილმა*

4 ი./ს „ფანტაზია“, რეგისტრირებულია ისნის რაიონის სასამართლოს მიერ, № 7/1-1811
ალექსანდრე და ვახტანგ ელერდაშვილები
„300 არაგველი“, გუთნის 10, ტელ. 77-64-80
წერილებისათვის – 380003, ალ.ელერდაშვილს, მოკითხვამდე